ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №40

21.03.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **თენგიზ გორდეზიანი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი;
2. **დავით მაღრაძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი, პროფესორი, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის, ვაზის გენოფონდის კვლევის, გენეტიკისა და სელექციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
3. **მანანა შარაშენიძე** - გეოგრაფიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიული ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი;
4. **გოჩა გუძუაძე** - შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პედაგოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტი;
5. **ოთარ დემეტრაშვილი** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტოპოგრაფიული სამმართველოს წარმომადგენელი;
6. **ზურაბ ვაჭარაძე** - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. **დიმიტრი შოშიაშვილი;**
8. **ლაშა მალანია;**
9. **ემზარ შერეშაშვილი;**
10. **ლევან ბიწაძე;**
11. **ზურაბი ალთუნაშვილი;**
12. **ლევან ბაწილაშვილი;**
13. **ელგუჯა ღვინიაშვილი;**
14. **დათო მარი;**

15. გელა გელაშვილი;
16. გიორგი ვახტანგიშვილი;
17. ირაკლი ნემსაძე;
18. რუსუდან კენკებაშვილი;
19. ვერა ბარნაბიშვილი;
20. ირინა ერქვანია.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ მიერ ა/წლის 19 მარტის №19/031907881-03 წერილით წარმოდგენილი პროექტის - „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემა და ელექტრონული ატლასი“-ს განხილვა-პრეზენტაცია - ოქმს თან ერთვის.

/**მომხსენებელი:** ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ პრეზიდენტი თ. გორდეზიანი/

2. **მიმდინარე საკითხი** - პლასტიკის პარკების მწარმოებლებთან შეხვედრა პლასტიკის პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ მიერ ა/წლის 19 მარტის №19/031907881-03 წერილით წარმოდგენილი პროექტის - „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემა და ელექტრონული ატლასი“-ს განხილვა-პრეზენტაცია

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ 2019 წლის 19 მარტის №19/031907881-03 წერილით, ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ითხოვეს „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემის და ელექტრონული ატლასის“ განხილვა-პრეზენტაცია, რომელსაც წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ბ-ნი თენგიზ გორდეზიანი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა თ. გორდეზიანმა, რომელმაც „მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემის და ელექტრონული ატლასის“ პრეზენტაციამდე ისაუბრა ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფიის ასოციაციის“ შექმნის (შეიქმნა 1998 წელს), საქმიანობისა და განხორციელებული პროექტების შესახებ. ასოციაციას შექმნილი აქვს ისტორიული და კომპლექსური ატლასები, ასევე, 2000-2006 წელს განხორციელებული თბილისის სატყეო უბნების ინვენტარიზაციისას ასოციაციის მიერ შეიქმნა ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასული რუკა. მომხსენებლის ინფორმაციით, ასოციაცია არის საერთაშორისო კარტოგრაფთა ასოციაციის წევრი.

ამის შემდეგ, მომხსენებელმა ისაუბრა „მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემის და ელექტრონული ატლასის“ (პირველი დრაფტი) მიზნებსა და ამოცანებზე.

წარმოდგენილი პროექტის მიზანია: შედგენილ იქნას საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემა და შესაბამისი ელექტრონული ატლასი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სასოფლო-სამეურნო სავარგულებისა და მევენახეობა-მეღვინეობის ობიექტების მუდმივი ოპერატიული ინვენტარიზაციისთვის. პროექტის საბოლოო შედეგი წარმოდგენილი იქნება კარტოგრაფიულ საფუძველზე დატანილი ობიექტების სახით. თითოეულ მათგანში კოდირებული იქნება ობიექტის შესაბამისი ოდენობრივი, თვისობრივი და სივრცული მახასიათებლები.

პროექტის ამოცანები:

- საქართველოს კონკრეტული რეგიონისთვის, პირველ რიგში, მომზადდება დიგიტალიზირებული კარტოგრაფიული საფუძველი (UTM-ის საკოორდინატო სისტემაში წარმოდგენილი ტოპოგრაფიული რუკა);
- მოძიებულ იქნება კარტოგრაფიული და სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც კარტოგრაფიულად გადამუშავდება შესაბამის პროგრამაში;
- კონკრეტული რეგიონისთვის მომზადება შესაბამისი ობიექტების შესახებ პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ოპერატიული გამოყენების მიზნით. მომხმარებელს ხელთ ექნება მუშა კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტი, რომელიც დაეხმარება შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებს ოპერატიული, პრაქტიკული დანიშნულების გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნული პროდუქტი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე საქართველოში შემოსულ ვიზიტორებს ღვინის ტურიზმის მიმართულებით. ატლასის მომხმარებელს საშუალება ექნება მუდმივ რეჟიმში განაახლოს ელექტრონული კარტოგრაფიული ნაწარმოები ახალი ინფორმაციით. ატლასის გამოყენება შესაძლებლი იქნება:

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ასევე მოსახლეობის თაობაზე საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

მომხსენებელმა დამატებით ისაუბრა იმ კომპონენტებზე, რომლითაც შედგება საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული ატლასის რუკები. ესენია: საქართველოს მსოფლიოს ფონზე (რუკა); კავკასიის ფიზიკური რუკა; კავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკა; საქართველოს ფიზიკური რუკა; საქართველო კოსმოსიდან (რუკა); საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის რუკა; ასევე, ბუნებრივი მოვლენების ამსახველი რუკები: გეოლოგიური აგებულების რუკა; გეომორფოლოგიური რუკა; ნიადაგის რუკა; იანვრის ტემპერატურების გადანაწილების რუკა; ივლისის ტემპერატურების გადანაწილების რუკა; ნალექების გადანაწილების რუკა; მზის ნათების ხანგრძლივობის რუკა; კლიმატის ტიპების რუკა; მცენარეულობის გავრცელების რუკა; ბუნებრივი ლანდშაფტების რუკა; ლანდშაფტების ტრანსფორმაციის რუკა; ჰიდრომელიორაციული რუკა და გეოეკოლოგიური რუკა.

ქ-ნმა მანანა შარაშენიძემ (გეოგრაფიის დოქტორი, თსუ-ს გეოგრაფიული ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი) ისაუბრა მევენახეობა-მეღვინეობის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ვაზის კულტურასა და ასევე, პრეზენტაციისას წარმოდგენილი რუკების მნიშვნელობის თაობაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა და ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა აღნიშნეს, რომ „მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემა და ელექტრონული ატლასის“ შექმნის იდეა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით და დადებითად შეაფასეს ასოციაციის მიერ გაწეული მუშაობა. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზენტაციისას, ძირითადად, აქცენტი გაკეთებულია მეღვინეობა-მევენახეობის რეგიონების თემაზე, აღნიშნული ატლასის განხილვა-პრეზენტაცია უფრო საინტერესო იქნებოდა თავად კახეთის რეგიონისა და კონკრეტული მუნიციპალიტეტებისთვის. კომისიის წევრებმა ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფიის ასოციაციის“ ხელმძღვანელ პირებს მიმართეს წინადადებით, „მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემის და ელექტრონული ატლასის“ პრეზენტაცია მოეწყოს საქართველოს პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებსა და კახეთის რეგიონის შესაბამის მუნიციპალიტეტებში.

ბ-ნმა თ. გორდეზიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ატლასი და მასში შესული ყველა რუკა ემსახურება გარემოს დაცვას, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრებასა და გავრცელებას. ასევე, შესაძლებელია, ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფიის ასოციაციის“ მიერ შემუშავდეს დედაქალაქის გეოეკოლოგიური ატლასი. თუმცა ამ სამუშაოებისთვის ასოციაციას დასჭირდება გარკვეული დრო.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა „მევენახეობა-მეღვინეობის გეოინფორმაციული სისტემისა და ელექტრონული ატლასის“ მნიშვნელობასა და მიზანზე და აღნიშნა, რომ იდეა ძალიან კარგი და მისასალმებელია. რაც მთავარია, პირველი ნაბიჯები გადადგმულია და კომისია გამოხატავს მზაობას ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფიის

ასოციაციის“ მიერ თბილისის გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ატლასის თუნდაც სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, დაეთმოს კომისიის ერთი სხდომა მის განხილვა-პრეზენტაციას.

კომისიამ მოიწონა ა(ა)იპ „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ მიერ წარმოდგენილი „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის გეოგრაფიული სისტემისა და ელექტრონული ატლასის“ სამუშაო ვერსია და გამოთქვა მზაობა თბილისის გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ატლასის სამუშაო ვერსიის წარმოდგენის შემთხვევაში, დაეთმოს კომისიის ერთი სხდომა მის განხილვა-პრეზენტაციას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხი - პლასტიკის პარკების მწარმოებლებთან შეხვედრა პლასტიკის პარკების წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის შესახებ

კომისიის წევრმა ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია პლასტიკის პარკების მწარმოებლებთან შეხვედრის გამომწვევი მიზეზების შესახებ. მისი ინფორმაციით, „ტექნიკური რეგლამენტის - პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებით (მუხლი 4, პუნქტი 2, „გ“ ქვეპუნქტი), ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე იკრძალება 2019 წლის 1-ლი აპრილიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 1-ლი აპრილიდან თბილისის ტერიტორიაზე არსებული პლასტიკის პარკების მწარმოებელ კომპანიებს შეექმნებათ პრობლემები. ამ პრობლემებზე სასაუბროდ და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით, პლასტიკის პარკების მწარმოებლებისა და რეალიზატორების წარმომადგენლებმა ითხოვეს შეხვედრა.

პლასტიკის პარკების მწარმოებლებმა ისაუბრეს იმ გამოუვალ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილების მუხლი 4, პუნქტი 2, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის ძალაში შესვლის შემდეგ. მათი განმარტებით, გარდა ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების საწარმოებლად საჭირო დანადგარებით საწარმოების აღჭურვისა (საწარმოების გადაწყობა), რომელიც, ფაქტობრივად, ასეთ უმოკლეს ვადაში ვერ განხორციელდება, ასევე, საჭიროა ასეთი პარკების ხარისხთან შესაბამისობის სერტიფიკატის მიღება, რომლის აღებაც შეუძლებელია, რადგან ქვეყანაში ჯერ არ არსებობს ასეთი სერტიფიკატის გამცემი ლაბორატორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პლასტიკის პარკების მწარმოებლებმა ითხოვეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ვადის გადაწევა წლის ბოლომდე, საწარმოების შესაბამისი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს მიერ

ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების სერტიფიკატის გამცემი ლაბორატორიის შექმნამდე.

მეწარმეებმა ასევე ისაუბრეს იმ შესაძლო დეფიციტზე, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას ბაზარზე პლასტიკის პარკების აკრძალვის ძალაში შესვლის შემდეგ, რადგან ადგილობრივი მწარმოებლები ვერ უზრუნველყოფენ საქონლის (კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პარკების) მიწოდების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ხოლო იმპორტირებული საქონელი ვერ უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შეკითხვები დასვეს:**

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა - საწარმოებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის და ასევე, საწარმოების შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვისთვის საჭირო ვადების თაობაზე.

მეწარმეთა განმარტებით, თბილისში მოქმედი საწარმოების 90% განლაგებულია სამგორის რაიონის ტერიტორიაზე და ამ სფეროში დასაქმებულია დაახლოებით 5000-მდე ადამიანი (უშუალოდ წარმოების პროცესში ჩართულია 3500 ადამიანი, დანარჩენი 1500 დასაქმებულია დისტრიბუციის მიმართულებით).

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა და ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ, რომლებმაც მეწარმეებს აუხსნეს ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები და სთხოვეს, წერილით მიმართონ საკრებულოს, რათა საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა, მეწარმეთა მიმართვის საფუძველზე, შუამდგომლობა გაუწიონ საქართველოს პარლამენტის დარგობრივ კომიტეტებთან და საქართველოს მთავრობასთან.

კომისიამ ცნობად მიიღო პლასტიკის პარკების მწარმოებლების ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №472 დადგენილებით გათვალისწინებული აკრძალვის ძალაში შესვლის გადავადების მოთხოვნის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე